მარცვლოვანთა ჩვეულებრივი ბუვრი, როგორც წესი, სახლდება მცენარის მიწისზედა ორგანოზე და აზიანებს როგორც ფოთლებსა და თავთავს (პურეული მარცვლოვნების შემთხვევაში), ასევე ტაროსა და ქოჩოჩს (სიმინდის შემთხვევაში).

როგორც ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, ბუვრი ფოთლებზე დასახლებისას ფოთლის ქსოვილებში უშვებს ხორთუმს ფლოემის ელემენტების ამოსაღებად, რასაც მოსდევს უკრედშორისი ნივთიერებების დაშლა და უკრედების ცოცხალი შიგთავსის სიკვდილი. ბუვრის მიერ მცენარის მწვანე მასის დაზიანების შემთხვევაში ადგილი აქვს ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესების დარღვევას და მცენარის დასუსტებას. ბუვრების ხარბად კვების პერიოდშივე ადგილი აქვს ტკბილ ექსკრემენტების უხვად გამოყოფას და მათზე სიშავის გამოწვევი სოკოების დასახლებას, რომლებიც თავიანთი მიცელიუმითა და სპორებით ფარავენ მცენარის სხვადასხვა ნაწილს სქელი, შავი აკის სახით, რაც საგრძნობლად ანელებს მცენარის მწვანე ნაწილებში მიმდინარე მეტაბოლიზმის რაოდენობით პროცესებს.

დაზიანების ამგვარი ხასიათი და ანატომიური ცვლილებები გადაწყვეტავს ველურს ახდენენ უარყოფით მნიშვნელობაზე—ეცემა მასის წონა. მცირდება მარცვლის მოსავალი და ხარისხი.

გამოკვლევებით დადგინდა აგრეთვე, რომ მავნებელი პირველ რიგში აზიანებს ხორბალს, ხოლო შემდეგ ქერსა და სიმინდს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუვრის ეს სახეობა სხვადასხვა ხარისხით აზიანებს მცენარის ორგანოებსაც (ცხრ. 1), როგორც პირველი ცხრილიდან ირკვევა ხუთ მცენარეზე აღრიცხული ბუვრების ჯამი ხორბლის შემთხვევაში უდრის 938-ს, ქერის შემთხვევაში—502-ს, და სიმინდის შემთხვევაში—361-ს. განსხვავება აღინიშნება მცენარის სხვადასხვა ორგანოზე ბუვრების დასახლების სისშირის მხრივაც, მაგალითად, ხორბლის შემთხვევაში მავნებელი ყველაზე მეტად სახლდება თავთავზე, შემდეგ ფოთოლზე და ბოლოს ღეროზე.

ერთი მცენარის თავთავზე აღრიცხული ბუვრების საშუალო რაოდენობა ხორბლის შემთხვევაში უდრის 108-ს, ფოთოლზე—75-ს და ღეროზე—23-ს, ქერის შემთხვევაში შესაბამისად—56-ს, 29-ს და 18-ს.

ერთი მცენარის ტაროზე აღრიცხული ბუვრების საშუალო რაოდენობა სიმინდის შემთხვევაში უდრის 27-ს, ქოჩოჩზე — 25-ს, ფოთოლზე — 16-ს.



მვენებელს ახალიათებს ჯიშებს შორის შერჩევითი უნარიანობაც, როგორც გამოიკვეა იგი უფრო აზიანებს შედარებით სქელლეროიან და ფაქქურულ ჯიშებს: კახურ დატოტვილს (54%), ჩინურ ცეზიუმს (49%), ლაგუდუტს (49,3%) და სხვ.

ამავე დროს მისგან ნაკლებად ზიანდება ნოვოუკრაინკა (6,2%), ჰიბრიდი დოლი, კრასნოდარკა (7,2%) და სხვ.

ბიოლოგიისა და ეკოლოგიის ძირითადი მომენტები

უფროთო პართენოგენეზური ბუგრის გამრავლება.

უფროთო პართენოგენეზური ბუგრის გამრავლება მიმდინარეობს შემდეგი წესით: ახლად შობილი მატლი ზრდის პროცესში კანს იცვლის ოთხჯერ და გადაიქცევა ზრდასრულ ფორმად—იმაგოდ, რომელიც თავის მხრივ იწყებს ცოცხლად შობას.

ნორმალური კვების, ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში (ტემპერატურა 20—21°, შეფარდებითი ტენიანობა 65—75%), იგი ცოცხლობს 35 დღემდე, ამ ხნის განმავლობაში შობს 80-მდე მატლს, დღეში 4—6 მატლს, საშუალოდ 1—3 მატლს.

ცხრილი 1

ბუგრის განლაგება მარცვლოვანი კულტურების სხვადასხვა ორგანოზე

| ნცენარეზე № | ალრიცხული ბუგრის რაოდენობა ცლობთ | | | | | | |
|-------------|----------------------------------|-------------|--------------|-------------|------|---|-----|
| | ლერო | ფოთო- ლუ | თავთა- ვო | ქონო- ჩი | ტარო | ერთ ნცენარეზე აღრ- იცხული ბუგრის რაოდენობა /ცალო- ბით/ | |
| ხორბალი | 1 | 72 | 80 | 100 | — | — | 202 |
| | 2 | 34 | 66 | 96 | — | — | 196 |
| | 3 | 15 | 90 | 116 | — | — | 131 |
| | 4 | 18 | 75 | 101 | — | — | 194 |
| | 5 | 27 | 63 | 125 | — | — | 215 |
| საშუალო | 23 | 75 | 108 | — | — | 938 | |
| ქერი | 1 | 15 | 36 | 40 | — | — | 91 |
| | 2 | 32 | 35 | 55 | — | — | 122 |
| | 3 | 17 | 25 | 69 | — | — | 101 |
| | 4 | 10 | 19 | 76 | — | — | 105 |
| | 5 | 16 | 29 | 38 | — | — | 83 |
| საშუალო | 18 | 29 | 56 | — | — | 502 | |
| სიმინჯი | 1 | — | 16 | — | 27 | 36 | 79 |
| | 2 | — | 12 | — | 24 | 36 | 72 |
| | 3 | — | 9 | — | 18 | 17 | 44 |
| | 4 | — | 21 | — | 32 | 30 | 83 |
| | 5 | — | 19 | — | 25 | 48 | 87 |
| საშუალო | — | 16 | — | 25 | 24 | 361 | |

ბუნებრივ პირობებში უფრო პართენოგენეზური დედლის ინტენსიური გამრავლება აღნიშნული იყო იენისის პირველ დეკადაში 21,6°—საშუალო-დეკადური ტემპერატურისა და 65% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის დროს, რაც ბირსისა კი აღნიშნული იყო ივლისის მესამე დეკადაში 29°—საშუალო-დეკადური ტემპერატურისა და 46,7% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის დროს, რაც ძირითადად მაღალი ტემპერატურისა და დაბალი ფარდობითი ტენიანობით იყო გამოწვეული.

ფრთიანი პართენოგენეზური ბუგრის გამრავლება

ჩვენი დაკვირვებებით ფრთიანი ფორმების წარმოშობა დაიწყო მაისის მესამე დეკადაში, როცა საშუალო-დეკადური ტემპერატურა უდრიდა 21,4°-ს, ხოლო ჰაერის ფარდობითი ტენიანობა—58%-ს.

უფრო პართენოგენეზური ბუგრის მსგავსად, მომავალი ფრთიანი პართენოგენეზური ბუგრის მატლიც კანს იცვლის 4-ჯერ და იქცევა იმაგოდ. ფრთის ჩანასახები მას უკვე ემჩნევა მესამე ხნოვანებაში (პრონიმფა), ხოლო მეოთხე ხნოვანების მატლს აშკარად აქვს გამოსახული ფრთები (ნიმფა).

ნორმალური კვების, ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში (ტემპერატურა 25,8°, ფარდობითი ტენიანობა 60—65%), იგი ცოცხლობს 17—20 დღეს და ამ ხნის განმავლობაში შობს მაქსიმუმ 42 მატლს, საშუალოდ 30 მატლს, დღეში 1—2 მატლს.

მატლების შობის დამთავრების შემდეგ, ფრთიანი პართენოგენეზური ბუგრი იღუპება 3—4 დღეში.

ბუნებრივ პირობებში ფრთიანი პართენოგენეზური ბუგრის ინტენსიური გამრავლება აღნიშნული იყო ივლისის პირველ დეკადაში 25,8° ტემპერატურისა და 60% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

შესაბამისად მაღალი აღმოჩნდა აგრეთვე ფრთიანი პართენოგენეზური ბუგრის გამრავლება სექტემბრის მესამე დეკადაში (საშუალო-დეკადური ტემპერატურა 17,8° და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 70%). გამრავლებას დეკრესია კი აღნიშნული იყო აგვისტოს პირველ დეკადაში (საშუალო-დეკადური ტემპერატურა 28,3°, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 50%).

გამოგენეზური თაობების წარმოშობა, გენერაციათა რაოდენობა და მათი ხანგრძლივობა

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჩვენს პირობებში გამოგენეზური თაობების წარმოშობას ადგილი აქვს სექტემბერსა და ოქტომბერში. მათ იძლევიან მხოლოდ უფრო პართენოგენეზური ბუგრები, რომლებიც შობენ როგორც დედალ, ისე მამალ ფორმებს, საშუალოდ 6—10 ეგზემპლარს. გამოირკვა, რომ მამალი ყოველთვის ფრთიანია, ხოლო გამოგენეზური დედალი უფრო, ამასთან მამალი ფორმები ჩვენ მიერ ბუნებაში მცირე რაოდენობით იყო აღნიშნული.

მომავალი დედლისა და მამლის მატლი კანს იცვლის 4-ჯერ. ისინი იკვებებიან და ვითარდებიან იმავე წესით, როგორც პართენოგენეზური ბუგრები.

გამოგენეზური დედალი ვითარდება რა ზრდასრულ ფორმად, მას ანაყოფიერებს გამოგენეზური მამალი. განაყოფიერებიდან 2—3 დღის შემდეგ დედლები



წყებენ კვერცხების დებას საშემოდგომო ხორბალზე, სარეველებიდან მხოლოდ ჭანვაზე.

კვერცხები იდება პატარა ჭკუფებად ფოთლის ფირფიტის შედგენილ მკვრივ ვარი ძარღვის გასწვრივ 8—10 ცალის რაოდენობით. კვერცხის დებიდან 1—3 დღის შემდეგ ბუგრი ილუპება.

გამოვენეზური დედალი ცოცხლობს 10—12 დღეს, ხოლო მამალი 7—9 დღეს. 7,8° ტემპერატურასა და 85% ფარდობითი ტენიანობის პირობებში. გასაფხულზე ბუგრი ამ სახეობის განვითარებას მოუწდა 30 დღე, ხოლო 24,2° ტემპერატურასა და 10% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში მინიმუმ 4 დღე.

თუ მზებდველობაში მივიღებთ განვითარების ნორმალურ ციკლს, მაშინ ბუგრი ჩვენს პირობებში იძლევა 15 თაობას.

ბუნებრივი მტრების როლი ბუგრის რიცხოზობის დეგრესიის საქმეში

მარცვლოვანთა ჩვეულებრივი ბუგრის გამრავლება-განვითარებას არეგულირებენ როგორც აბიოზური, ისე ბიოზური ფაქტორები, ამ უკანასკნელიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ მტრებს (პარაზიტ და მტაცებელ მწერებს).

დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ ჭიამაიებიდან მეტი უარყოფითი მნიშვნელობა აქვს *Coccinella*—7 punctata L.; შემდეგ *Adonia variegata* G. და ბოლოს *Propylaea*—14 Punctata L. (ცხრ. 2.)

ცხრილი 2

ჭიამაიების დღელამური საკვები რაციონი

| მ ტ ა ც ე ბ ე ლ ი | | შეკმეული ბუგრების რაოდენობა | |
|--|--------------|-----------------------------|-------|
| გვარი და სახეობა | სტატია | იმაგო | მატლი |
| <i>Coccinella</i> —7 <i>punctata</i> L. | იმაგო | 74 | 178 |
| | IV ხ. მატლი | 96 | 275 |
| | III ხ. მატლი | 62 | 145 |
| | II ხ. მატლი | 50 | 132 |
| | I ხ. მატლი | 37 | 88 |
| <i>Adonia variegata</i> Goetr. | იმაგო | 63 | 119 |
| | IV ხ. მატლი | 85 | 192 |
| | III ხ. მატლი | 58 | 127 |
| | II ხ. მატლი | 46 | 93 |
| | I ხ. მატლი | 23 | 42 |
| <i>Propylaea</i> —14 <i>punctata</i> L. | იმაგო | 59 | 110 |
| | IV ხ. მატლი | 80 | 145 |
| | III ხ. მატლი | 49 | 112 |
| | II ხ. მატლი | 38 | 81 |
| | I ხ. მატლი | 21 | 34 |

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, განსაკუთრებით ხარბად იკვებება ჭიამაის მე-4 ხნოვანების მატლი, შემდეგ კი იმაგო და მე-3, მე-2 და პირველი ხნოვანების მატლები. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ჭიამაიები 2-ჯერ და მეტი რაოდენო-



ბით ანადგურებენ ბუგრებს მატლის ფაზაში, ვიდრე იმაგოს ფაზაში. ისე, მაგალითად, ჭიამიას შე-4 ხნოვანების მატლი დღეში ჭამს 96 ცალი ზოგადსრულ ბუგრს, ხოლო მატლს—25 ცალის რაოდენობით.

ბუგრის ამ სახეობის განადგურების საქმეში დიდ როლს ასრულებენ აგრეთვე ყვავილი ბუზების (Syrphidae) მატლები და ზოგიერთი სახეობის პარაზიტი.

მარცვლოვანთა ჩვეულებრივი ბუგრის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა გამოცდის შედეგები

ბუგრის ამ სახეობის წინააღმდეგ გამოცდილი იქნა როგორც საბჭოური, ისე უცხოური ზოგიერთი კონტაქტური და სისტემური ინსექტიციდი და შესწავლილი იქნა მათი შედარებითი ტოქსიკურობა და მოქმედების ხანგრძლივობა. კერძოდ, გამოცდილი იქნა ფოსფამიდი, საიფოსი, ბი-58 და ციდალი.

ცხრილი 3

მარცვლოვანთა ჩვეულებრივი ბუგრის სიკვდილიანობა გამოსახული პროცენტებში დღეების მიხედვით

| პეტიკიდის დასახელება | კონცენტრაცია %-ით | დღეები | | | |
|----------------------|-------------------|--------|-------|-------|-------|
| | | 5 | 10 | 15 | 20 |
| ფოსფამიდი | 0,05 | 6,2 | 5,62 | 79,36 | 40,15 |
| | 0,1 | 98,2 | 6,25 | 93,15 | 55,65 |
| | 0,2 | 100 | 98,05 | 7,55 | 76,25 |
| საკონტროლო | — | 3,85 | — | — | — |
| საიფოსი | 0,05 | 96,45 | 96,15 | 95,3 | 92,25 |
| | 0,1 | 100 | 98,54 | 97,25 | 95,62 |
| | 0,2 | 100 | 97,21 | 98,11 | 96,65 |
| საკონტროლო | — | 4,65 | — | — | — |
| ბი-58 | 0,05 | 97,55 | 98,15 | 82,75 | 58,55 |
| | 0,1 | 97,35 | 90,55 | 93,35 | 60,25 |
| | 0,2 | 100 | 98,56 | 96,32 | 82,25 |
| საკონტროლო | — | 5,35 | — | — | — |
| ციდალი | 0,05 | 97,35 | 91,21 | 80,54 | 20,15 |
| | 0,1 | 100 | 91,34 | 81,52 | 20,76 |
| | 0,2 | 100 | 91,85 | 87,25 | 30,00 |
| საკონტროლო | — | 5,56 | — | — | — |

ცდა ტარდებოდა, როგორც ლაბორატორიულ, ისე ბუნებრივ პირობებში ცდის წინ გამოსაცდელი შხამების განსაზღვრულ რაოდენობას ვასხურებდით



სიმინდის ან ხორბლის მცენარეს, ხოლო შემდეგ მასზე ვათავსებდით წინააღმდეგობრივ დათვლილ ზრდასრული ბუგრების გარკვეულ რაოდენობას. სიკვდილიანობის პროცენტს ვსაზღვრავდით ცდის დაყენებიდან მე-5 დღეს. ხუთი დღის შემდეგ ამავე მცენარეზე კვლავ ვათავსებდით ბუგრების ახალ ჯგუფს და სიკვდილიანობის პროცენტს ვაღგენდით ბუგრების მოთავსებიდან მე-5 დღეს. ანალოგიური წესით ბუგრების სიკვდილიანობა აღირიცხებოდა მე-5—10—15—20 და ა. შ. დღეს. მიღებული შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

მაღალ ეფექტს იძლევა პრეპარატ ფოსფამიდის 0,2%-იანი კონცენტრაცია, რომლის მიერ გამოწვეული სიკვდილიანობა პირველი 15 დღის განმავლობაში მერყეობს 100—97,55%-ის ფარგლებში.

პრეპარატ ბი-58-ის 0,2%-იანი კონცენტრაცია პირველი 15 დღის განმავლობაში იძლევა მაღალ ეფექტს, სიკვდილიანობა ცვალებადობს 100—96,32%-ის ფარგლებში.

პრეპარატ ციდილის გამოყენების შემთხვევაში მეტად ეფექტანია პირველი 10 დღის განმავლობაში 0,2 და 0,1%-იანი კონცენტრაციები. 0,2%-იანის შედეგია 100—91,85%, ხოლო 0,1%-იანის—100—91,34%.

ზემოთ ჩამოთვლილ ინსექტიციდებს შორის ყველაზე მაღალ ეფექტს იძლევა პრეპარატ საიფოსის 0,2%-იანი კონცენტრაცია, რომლის გამოყენების დროსაც სიკვდილიანობა 20 დღის განმავლობაში 100—96,65%-ის ფარგლებში მერყეობს.

მიღებული შედეგების საფუძველზე, მარცვლოვანთა კულტურებზე ბუგრის ამ სხეობის ფართოდ გავრცელების შემთხვევაში წარმოებას შეიძლება ეურჩიოს აპრილ-მაისის თვეში პრეპარატ საიფოსის 0,2%-იანი კონცენტრაციის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ამ კულტურის ხანგრძლივ დაცვას მარცვლოვანთა ჩვეულებრივი ბუგრის მავნე მოქმედებისაგან.

И. К. ЦИНЦАДЗЕ, И. В. НАДІРАДЗЕ

К ИЗУЧЕНИЮ БИОЛОГИИ ОБЫКНОВЕННОЙ ЗЛАКОВОЙ ТЛИ
Schizaphis (=Toxoptera) graminum Rond в Грузии

Резюме

Злаковая тля относится к числу вредителей-олигофагов и питается на 19 видах растений. Тля зимует в фазе яиц на озимой пшенице и ползучем пырее.

В случае полного цикла в условиях Грузии она дает до 15 поколений.

Оптимальной температурой для развития бескрылых партеногенетических тлей является 20-21°, влажность 65-70%, при этом тля указанного вида живет до 35 дней и рождает до 80 личинок.



Оптимальной температурой для развития крылатых партеногенетических тлей является 25,8°, влажность воздуха 70%, при этом для указанного вида живут 17-20 дней и в течение этого времени рождает максимум 42 личинок.

Из биотических факторов в снижении численности обыкновенной злаковой тли большую роль играют: *Coccinella*—7 *Punctata* L., *Adonia variegata* Goezr., *Propylaea*—14 *punctata* L. и др., Процент гибели тли от которых достигает 53.

Против указанного вида были испытаны некоторые отечественные и зарубежные пестициды, наиболее эффективным оказался санфос, от действия этого препарата (0,2% концентрации) процент гибели тли составляет 100.

ლიტერატურა — Литература

1. ა. აბაშიძე. მასალები მარცვლეული კულტურების მავნე აფიდოფაუნის შესწავლისათვის. საქ. მეცნ. დაცვის ინსტ. შრომები, ტ. IX. 1954.
2. ლ. კალანდარიძე, ა. აბაშიძე. ახალი მონაცემები სიმინდის მავნე ენტომოფაუნის შესწავლისათვის საქართველოში. საქ. მეცნ. დაცვის ინსტ. შრომები, ტ., X. 1963.
3. А. А. Джибладзе. К изучению афидофауны Грусовского ущелья, Сообщения Акад. Наук ГССР. т. 17, № 10. 1956.
4. Д. Н. Кобахидзе. Вредная энтомофауна с. х. культур Грузинской ССР, Тбилиси. 1957.
5. К. Э. Линдеман. О массовом размножении хлебной тли. Зап. общ. сельск. хоз. Южной России, № 8, 1886.
6. В. А. Мамонтова. Тли с. х. культур правобережной лесостепи УССР. Изд. АНУССР, Киев. 1953.
7. С. А. Мокржецкий. О некоторых новых вредителях с. х. растений на Юге России. Отчет Гавр. губ. энтомологов. Симферополь, 1905.
8. А. К. Мордвилко. Злаковые тли (Aphidodea) ч. 1., изв. Петрогр. обл. ст. защ. раст., т. 3. 1929.
9. В. П. Невский. Тли средней Азии. Бюлл. Среди. азиатск. унив., вып. 22, № 34, 1929.
10. Н. Д. Тулашвили. Материалы к вредной фауне полевых культур в Грузинской ССР. Труды Грузинского инст-та защ. растений. 1948.
11. Б. П. Уваров. Обзор вредителей с. х. растений. Тифлисской и Ереванской губернии за 1916—1917 г. Тифлис. 1918.
12. Н. В. Хачапуридзе. Обзор главнейших вредителей с. х. растений Грузии. Изв. отд. защ. раст. Грузии. 1930.



ს. გვრიტიშვილი, მ. გვრიტიშვილი, ა. გომილიძე,
ჟ. შვარცვაძე, რ. ბელაძე, ზ. ბაღოიძე

**ვაზის ვარჯის განვითარების დინამიკის შესწავლის მასალები
მებათროლოგიურ ელემენტებთან დაკავშირებით
დედის სასაფლო-სადელი მეურნეობის პირობებში**

ვაზის ჭრაქის გამოვლინება და ავადმყოფობის შემდგომი მიმდინარეობა მჭიდრო კავშირში იმყოფება ამინდის პირობების მსვლელობასთან როგორც წინა, ისე მიმდინარე წლის ტემპერატურისა და ნალექების რაოდენობასთან.

ვაზის ჭრაქი თავისი განვითარებისათვის საჭიროებს ტენისა და ტემპერატურის გარკვეულ რაოდენობას. მისი აქტიური მოქმედება იწყება 12—13°C-დან და გრძელდება 30°C-მდე, მისი განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელია ტემპერატურა 22,5°C. ზოლო მინიმუმსა და მაქსიმუმთან ახლოს ტემპერატურის შედარებით ხანგრძლივად დგომისას გამოვლინებაც და განვითარებაც რამდენადმე ჭიანურდება.

ვაზის ჭრაქის განვითარების ნელ მიმდინარეობასა და დაბალ ინტენსივობას აპირობებს ვაზის ჭრის იმუნური თვისებები, აგროტექნიკის დონე და გარდატენისა და ტემპერატურის თავისებურებებისა ზოგიერთი სხვა გარემო პირობა, როგორცაა ქარები, რომლებიც წვიმის შემდეგ ვაზის ბუჩქის სწრაფი გამოშრობის გამო ზოოსპორებს წარმოშობს და ინფექციები რამდენადმე იზღუდება.

1976 წლის სავეგეტაციო სეზონში, მიუხედავად ვაზის ჭრაქის გამოჩენისათვის საჭირო პირობების ადრე დადგომისა, ავადმყოფობა მეტად მოგვიანებით გამოვლინდა. პირველი ნიშნები—უფიქტო ლაქები ვაზის ფოთოლზე მხოლოდ 10—11 ივნისს გამოჩნდა. დაავადების განვითარების 1-ელი აღრიცხვა მხოლოდ 18 ივნისს ჩატარდა, რომლის დროსაც ვაზის ჭრაქის ინტენსივობა 1%-ზე მეტი არ ყოფილა.

ვაზის ჭრაქის განვითარების დინამიკისათვის ჩატარებულმა აღრიცხვებმა შეუწამლა და შეწამლული ვაზის რიგებში შემდეგი პროცენტული გამოხატულება პპოვა ჭრის რქაწითელზე (ცხრ. 1).

აღრიცხვის მასალები ნათელყოფს, რომ ჭრაქის განვითარებამ მაქსიმუმს მაილწია აკვისტოს პირველი დეკადის ბოლოს, როცა ავადმყოფობის საჭირო ტემპერატურულმა რეჟიმმა ოპტიმალური საზღვრები გადალახა, დაავადების ინტენსივობამ კი 62,5%-ს მაილწია.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმო ნაკვეთზე აგროწესებით გათვალისწინებუ-



აღრიცხვის პერიოდი

| ვარიანტი | 1976 წლის I კვარტალი | | | | | | | 1976 წლის II კვარტალი | | | |
|------------------------------------|----------------------|----------|----------|--------|----------|---------|---------|-----------------------|----------|----------|----------|
| | 11.06.76 | 18.06.76 | 25.06.76 | 6.7.76 | 18.07.76 | 3.08.76 | 13.0.76 | 21.08.76 | 45.09.76 | 14.09.76 | 24.09.76 |
| 1 ფუნგის- დები შეუწმლა- ვ | + | 0,70 | 1,25 | 12,50 | 20,00 | 42,50 | 62,50 | 62,50 | 60,00 | 50,00 | 35,00 |
| 2 7-ერ შე- წამლული | + | 0,20 | 0,50 | 3,50 | 7,50 | 15,00 | 22,50 | 22,50 | 22,50 | 22,50 | 25,00 |

ლი 5 წამლობის ნაცვლად 7 წამლობა იქნა ჩატარებული. ვაზის კრაქის განვითარება მაინც მიმდინარეობდა და ინტენსივობამ 22,5% მიაღწია.

სეზონის დაკვირვებებიდან 2 ფაქტი მოითხოვს ახსნას: 1) რატომ დაიგვიანა კრაქის გამოჩენამ იმ პირობებში, როცა მისი გამოჩენისათვის მთელი თვე ადრე შეიქმნა საჭირო ტემპერატურული საშუალო, და ამასთანავე, ეს პერიოდისათვის მისი წამლობის მაღალი ნალექებით.

2) რატომ იჩინა თავი ვაზის კრაქმა საწარმოო ნაკვეთებზე ნაცვლად 5-ის 7 წამლობის ჩატარების პირობებშიც (იხ. ცხრილი).

ვაზის კრაქის დაგვიანებით გამოჩენა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში არ არის იშვიათი შემთხვევა. ამის გამო მიმდინარე 1976 წელიც იშვიათი გამოწვევა არ არის. საქმე იმაშია, რომ ყოველი ინფექციისათვის საჭიროა ტემპერატურისა და ტენის პირობა. ტემპერატურამ ამ სეზონისთვის ადრე მიაღწია მინიმუმისა და ოპტიმუმის საზღვრებს შორის. მაგრამ ტენიანობა, ჩამრეცხი წვიმების სახით. ნორმალურზე მეტი იყო. ხშირი წვიმები იწვევდა საინფექციო საწყისის ჩამორეცხვას, ხოლო წვიმის გადაღების შემდეგ კი ნიაქ-ქარის გავლენით ვაზის ბუჩქი რამდენადმე ადრე შრებოდა, რაც აბრკოლებდა კრაქის ინფექციას. ასე, რომ ჩვენი აზრით, კრაქის გვიანი გამოჩენა განაპირობა ჩამრეცხმა წვიმებმა და ნიაქ-ქარებმა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა დიდი სასწავლო პეტირენობის ვაზის ზედა ვენახების მიკროკლიმატისათვის, გაზაფხულის პერიოდში.

საწარმოო ნაკვეთებში ვაზის კრაქის რამდენადმე (22,5%) განვითარება 7 წამლობის პირობებში აიხსნება ვაზის არახელსაყრელი კომპლექსური პირობებით, რომელშიც მონაწილეობდა ინფექციისათვის საჭირო სპორების რაოდენობა, ოპტიმალური ტემპერატურა და უხვი ფარდობითი ტენიანობა. ვენახში აეროტექნიკური ღონისძიებების დაგვიანების ან არახარისხიანად გატარება (არასრულყოფილი ფორჩქვნა, შეყვლევა, ვენახში ბალახების მომძლავრება).

ასეთ პირობებში მარტო ქიმიური წამლობა უძლეურია შეაჩეროს კრაქის ნორმალზე გადამეტებული წამლობის შემთხვევაშიც კი.

როგორც 1976 წ. ვაზის კრაქის გავრცელების თავისებურებიდან ჩანს, იგი ეპიფიტოტიურ ხასიათს ატარებდა, ამ წელს არსებობდა დიდი პოტენციური ხარისის შესაძლებლობა, მაგრამ იგი რამდენადმე თავიდან აცილებული იქნა ვა-



შეტვლულ წამლობათა რიცხვით, რამაც ზედმეტი ხარჯები გამოიწვია. ვაზის ჭრაქის საწინააღმდეგოდ წამლობათა გამრავლიცხოვნების დადგენილება და დაავადებათა წინააღმდეგ 1—2 შესხურების ზედმეტად, მარტო წარმოებაში შექმნილი აუცილებლობით არ არის გამოწვეული. თეორიულ დასაბუთებას აძლევს ზოგიერთი სპეციალისტიც (ქუფარაშვილი, 1976, წაიძე, 1977). ასეთი ტენდენცია არავითარი დასაბუთებით არ არის სწორი. საჭიროა არა წამლობათა რიცხვის გაზრდა, არამედ მათი შემცირების გზების და სმულელების ძებნა. ეს გზა მიგვიყვანს ვენახში მწვანე ოპერაციების და ნიადაგის დამუშავების მაღალი აგროტექნიკის დონეზე აყვანის საჭიროებასთან, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს როგორც ტოქსიკოლოგთა, ისე მევენახე-სპეციალისტთა მხრივ.

1976 წელს ვაზის ჭრაქის განვითარების დაკავშირებამ ტემპერატურასა და ტენიანობასთან გვიჩვენა პირდაპირი შესაბამისობა. ივნის-ივლისში ტემპერატურისა და ტენიანობის მატების კვალობაზე ჭრაქის ინტენსივობა მატულობდა და მაქსიმუმს აგვისტოს პირველ დეკადაში მიაღწია.

ვაზის ჭრაქის განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს დაავადების გამოჩენის დროს, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია საინფექციო საწყისზე (ოსპორებზე) წინა შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის ტემპერატურებსა და ტენიანობის შემოქმედებაზე. ვაზის ჭრაქის გამოვლინებაზე მიმდინარე წლის მარტის ტემპერატურების გავლენის გამოსაკვლევად გაანგარიშებული იქნა კორელაციის (z) კერძო კოეფიციენტი, რაც უდრის—0,99-ს. კორელაციის კერძო კოეფიციენტის (Sz) საშუალო-კვადრატული ცდომილება 0,014 უდრის. რამდენადაც საშუალო-კვადრატული ცდომილება ბევრად მცირეა კორელაციის კერძო კოეფიციენტის მნიშვნელობაზე, იგი მიღებული შედეგის საიმედოობაზე ლაპარაკობს.

დასკვნა: 1. 1976 წლის საეკიპიაციო სეზონში ვაზის ჭრაქი, ჯიშ რქა-წითელზე პირველად გამოჩნდა 10 ივნისს, ტემპერატურისა და ტენის ხელშეწყობით იგი სწრაფად განვითარდა და მისმა ინტენსივობამ აგვისტოს I დეკადაში 62,5% მიაღწია.

2. ვაზის ჭრაქის განვითარების ინტენსივობა იმავე წლის მარტის თვის ტემპერატურასთან უარყოფით კორელაციაში იმყოფება და მისი მნიშვნელობა—0,99-ს უდრის, საიმედოობა კი 0,014.

С. ГВРИТИШВИЛИ, М. ГВРИТИШВИЛИ,
 Э. ГОГЛИДЗЕ, К. ГВАРАМАДЗЕ,
 Р. ГЕЛАДЗЕ, З. БЕДОНДЗЕ

МАТЕРИАЛЫ ИЗУЧЕНИЯ ДИНАМИКИ РАЗВИТИЯ ЛОЖНОМУЧНИСТОЙ РОСЫ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ, В СВЯЗИ С МЕТЕОРОЛОГИЧЕСКИМИ ЭЛЕМЕНТАМИ В УСЛОВИЯХ ДИГОМСКОГО УЧХОЗА

Резюме

Для расчета долгосрочного прогноза ложной мучнистой росы виноградной лозы нужны следующие данные предыдущих 7-8 лет: даты вы-

явления ложной мучнистой росы, максимальная интенсивность ее развития, метеорологические данные предыдущих месяцев осени, зимы и весны по годам.

Первое проявление ложной мучнистой росы виноградной лозы в 1976 году было отмечено 10 июня на сорте Ркацители, а максимум интенсивности развития болезни достиг 62,5%, в первой декаде августа. Вычисленные индексы по данным этого года, наравне с другими годами, войдут в материалы расчета долгосрочного прогноза.

Для выявления последующего влияния мартовских температур на выявление ложной мучнистой росы виноградной лозы и степени ее интенсивности был вычислен частный коэффициент корреляции (Z), который равняется $K=0,99$ (отрицательная корреляция). Средняя квадратическая ошибка частного коэффициента корреляции — $S_z=0,014$, что показывает достоверность корреляции.

ლიტერატურა — Литература

1. А. Г. Макарушина. Биологические особенности развития мильдью и условия, необходимые для первичного заражения виноградинок, 1970.
2. П. И. Нагорный. Микофлора виноградной лозы Закавказья, Тбилиси, 1968.
3. Н. А. Шибкова. Показатели долгосрочного прогноза. Бюл. ВНИИЗР, 1970.
4. Н. П. Осторжевский. Обоснование феноклиматического прогноза болезни виноградной лозы, 1972.
5. ВНИИЗР юго-западных районов СССР. Методика выявления и прогноза болезни виноградной лозы, 1976.
6. В. И. Каптария, М. А. Рамишвили. Виноградарство, 1958.
7. Агроклиматический справочник по Грузинской ССР, Ленинград, 1961.



ბ. გვარამია

სოკო *Melanconium juglandinum* Kze

კაკლის ხის ტოტების ხმოვის ერთ-ერთი მიზეზი


კაკლის ხის *Juglans regia* L. ტოტებისა და წვეროების ხმოვა გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით, რომლებიც ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება დაწილდეს: კაკლის ხის ტოტების ან წვეროების ხმოვა გამოწვეული კლიმატური ან არახელსაყრელი ნიადაგობრივი პირობებით და 2. პარაზიტული მიზეზებით, რაც ხშირად პირველის დამატებას წარმოადგენს და აჩქარებს რაიმე მიზეზით დასუსტებული, წამხმარი წვეროებიდან ტოტების მთლიანად ხმოვას. პირველად, პარაზიტული მიზეზებით გამოწვეული ხმოვა შეიძლება ზოგჯერ წარმოადგენდეს კლიმატური ან ნიადაგობრივი შეუფერებელი პირობებით გამოწვეული ხმოვის გაგრძელებას.

კაკლის ხის წვეროების და ტოტების ხმოვის ერთ-ერთ მიზეზად სოკო მელანკონიუმ იუგლანდინუმ აღწერილია ყირიმში [3, 2, 6], აზერბაიჯანში [7], შორეულ აღმოსავლეთსა [4] და მოლდავეთში [8].

სოკო მელანკონიუმ იუგლანდინუმ კაკალზე საქართველოში აღნიშნულია ჯენს მიერ [1]. იგი გვხვდება ყველგან, სადაც იზრდება და ხარობს კაკალი. თანხარი სიძლიერით და გავრცელებით აღინიშნება როგორც მთიან, ისე დაბლობ ზონაში. მისი გავრცელება მსხმოიარე ტყეებზე 80%-ს აღწევს, ხოლო მოზარდებზე 18—20%-მდეა. გვხვდება კაკლის როგორც წვირლ, ისე მთავარ ტოტებზე, მოზარდთა შტამებზე და ტოტებზე კანიდან ამომქდარი შავი კრიალა მკვებების სახით.

მკვლევართა მონაცემებით [2, 3, 6, 7, 8], იგი პათოგენური ბუნებით უნდა ხასიათდებოდეს. მელანკონიუმის გაარის ერთ-ერთი სახეობა კაკალზე პარაზიტადაც არის აღიარებული [4], აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ გვჩნით შეგვესწავლა სოკოს ბიოლოგია, რათა დაგვედგინა მისი როლი კაკლის ლერო-ტოტების დაავადებაში. ამ მიზნით წარმოებდა დაკვირვება, როგორც პუნებრივ, ისე ლაბორატორიის პირობებში. ისწავლებოდა სოკოს კულტურული თვისებები და ტარდებოდა ხელოვნური დასენიანება.

გამორკვეულია, რომ *M. juglandinum*-ი სახლდება რაიმე მიზეზით გამზარ წვეროებზე ან დაზიანებულ შტამებზე, თანდათანობით ვადადის სალ ქსოვი-



ლებზე. გარეგნულად ეს გამოიხატება საღი ტოტების კანის ფერის შეცვლა (ღია წაბლისფერი შეფერვა), რასაც შემდგომ ტოტის გახმობაც მოსდევს. მეორე წლის გაზაფხულზე ან იმავე წლის შემოდგომაზე კანს კანის ფერი სოკოს ნაყოფიანობა. მიკროსკოპიულად იგი სარეცელს წარმოადგენს. სარეცელზე დაც მარტივი ან ოდნავ დატოტეილი კონიდიამტარებია აღმართული. ზომით 22—23 მკმ, სპორები მუქი ყავისფერია, ელიფსური, ერთუჯრედიანი 19—22 X 10—13 მკმ ზომის. სოკო კულტურაში ადვილად იყოფა ლუდ-აგარის საკვებ არეზე, კაკლის ფოთლის სტერილურ გამონაწურზე, კაკლის სტერილურ ყლორტებზე, კაკლის ფოთლის ნახარშზე ლუდ-აგართან. მისი განვითარება 20—22 ტემპერატურაზე 24 საათის მერე იწყება მოთეთრო თხელი მიცელიუმის სახით. მიცელიუმში თანდათან მუქდება და საბოლოოდ მუქი ყავისფერი ხდება. ნაყოფიანობა სხვადასხვა საკვებ არეზე 9—25 დღეში ვითარდება. კულტურაში სპორები უფრო მსხვილია და გამჭვირვალე, ონკანის წყალში 20—22° C-ზე 20—24 საათის განმავლობაში ღივდებიან. ლაბორატორიის პირობებში ცხოველყოფილობას 1 წლის განმავლობაში ინახავენ და 22—24 საათში ღივდებიან 21% რაოდენობით.

სოკოს პათოგენეზის დასადგენად ლაბორატორიის პირობებში ვისარგებლეთ მოჭრილი ტოტების მოთავსებით წყლიან ქილებში ჭრილობით და ჭრილობის გარეშე. ტოტებს ჭრილობას ვაყენებდით ცხელი ლანცეტით, სადაც წვეთის სახით შეგვქონდა სპორების სუსპენზია, ჭრილობა ინოკულირების შემდეგ იფარებოდა ლეიკოპლასტით. ცდა ტარდებოდა 20—25° C-ზე სათანადო კონტროლით. დასენიანებიდან 48 საათში ჭრილობის არეში ჩნდება ლაქა, საკონტროლო ტოტებზე ჭრილობის არეში ლაქა ქრება, ხოლო საკვილო ტოტებზე ყველა მიმართულებით იზრდება. მე-20 დღეზე ჭრილობის არეში შავი ლორწოვანი გამონადენი ჩნდება. 22—25 დღეზე კი მიეჭებებში სპორები ვითარდება. საკონტროლო ტოტები და ტოტები ჭრილობის გარეშე საღი რჩება. კაკლის ტოტების, ნერგების, შტამბის ხელოვნური დასენიანებით იგივე შედეგები იქნა მიღებული. ხოლო ჭრილობის გარეშე დასენიანებით უარყოფითი.

ცდებიდან გამომდინარე, სოკო მელანკონიუმ იუგლანდინუმ ჩაითილება მავნე პათოგენურ ორგანიზმად, რომელიც სახლდება რა დასუსტებულ ტოტებზე (მოყინვა, გვალები, კანის მექანიკური დაზიანება) აჩქარებს მათ ზრდას.

სოკოს ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა დროულად ჩატარდეს მექანიკურად დაზიანებული, ყინვებისაგან წამხმარი და სოკოსაგან დაავადებული ტოტების მოცილება. მოზარდის შტამბის დაავადების შემთხვევაში დაავადებული ადგილის აკრა საღ ქსოვილებამდე, და შემდეგ დაფარვა ბალის მალამოთი, ადრე გაზაფხულზე 3% ბორდოული სითხის შესხურება.



Гриб *Melanconium juglandinum* Kze, как один из возбудителей усыхания ветвей грецкого ореха.

ბიზნესული
ზიზღიერების

Резюме

Недавно считали, что все представители рода *Melanconium* Kze являются сапрофитами. Однако, *Melanconium juglandinum* Kze часто встречается в Восточной Грузии, на ветвях грецкого ореха, и плодоношение дает после их отсыхания.

Для уточнения образа жизни гриба *M. juglandinum* было проведено искусственное заражение чистой культурой гриба. Заражению подверлись ослабевшие ветви грецкого ореха. Итоги опытов по заражению ветвей грецкого ореха показали, что *M. juglandinum* является патогенным видом.

ლიტერატურა — Литература

1. ქ. გვარამაძე, კაკლის ავადმყოფობათა შესწავლის მასალები საქართველოში, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სას.-სამ. ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXIII. 1967.
2. А. А. Аблакатова, А. Е. Проценко, Е. П. Проценко. Микофлора орехоплодных на юге Дальнего Востока. Изв. Акад. Наук СССР; сб. № 4, М., 1964, стр. 606—612.
3. А. И. Васильева. Материалы к флоре грибов Южного берега Крыма. Тр. Гос. Никит. бот. сада, 33, Ялта, 1960, стр. 193—240.
4. П. И. Васильевский, В. П. Каракули. Паразитные несовершенные грибы. Из Акад. Наук СССР, М., 1950, стр. 389—391.
5. П. Н. Воронихин. Материалы к микологической флоре Сочинского округа. Тр. Сочинской садовой и сельскохозяйств. опытной станции, С.-Петербург, 1914.
6. Т. Д. Гаринина. Болезни грецкого ореха на Черноморском побережье Кавказа. Сб. работ по лесному хозяйству. Всесоюз. н. и. институт лесоводства и механизации лесного хозяйства, вып. 43, 1960, стр. 134—135.
7. Г. Р. Ибрагимов. Микофлора некоторых орехоплодных культур южной части Большого Кавказа Азербайджанской ССР и меры борьбы с главнейшими их заболеваниями. Докт. дисс., Кировабад, 1961.
8. И. А. Катаев, И. С. Понушой. Патогенные грибы на грецком орехе в Молдавии и меры борьбы с ними. В кн. Инфекционное заболевание культурных растений Молдавии, вып. 5, стр. 3-11, Кишинев, 1965.



ლ. კაკაუაძე

ულტრაიისფერი სხივების გავლენა სიმინდზე
ასკორბინის მჟავას შემცველობაზე

ულტრაიისფერი სხივები ძლიერ მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე, კერძოდ, მცენარეებში იწვევს ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და სტრუქტურულ ცვლილებებს [1, 2]. ულტრაიისფერი რადიაციის გამოყენებისას სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით დადებითი ეფექტი მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მცენარის მიმართ შერჩეული იქნება რადიაციის სწორი დოზა.

ჩვენ შევისწავლეთ ულტრაიისფერი სხივების სხვადასხვა დოზის გავლენა ასკორბინის მჟავას შემცველობაზე. სიმინდის ჯიშის აჯამეთის თეთრის თესლებს თესვის წინ ვასხივებდით შემდეგი დოზებით: ერთ ვარიანტს 30-წთ-ით, შეესაბამება $1344 \cdot 10^4$ ერგ/სმ²-ს, მეორე ვარიანტს—60-წთ., $144 \cdot 10^5$ ერგ/სმ²-ს, მესამე ვარიანტს — 90-წთ., $216 \cdot 10^5$ ერგ/სმ².

პარალელურად დაყენებული გვქონდა საკონტროლო ცდა. ასკორბინის მჟავას განსაზღვრას ვახდენდით ტილმანსის მიხედვით [3].

ჩატარებული ცდებიდან ჩანს, რომ ულტრაიისფერი სხივებით თესლის თესვისწინა დამუშავება ზრდის ვიტამინ C-ს რაოდენობას სიმინდის შესწავლილი ჯიშის ფოთლებსა და მარცვლებში. განვითარების პირველ ფაზებში ასკორბინის მჟავას რაოდენობა ყველაზე მეტად გაზრდილია 60-წთ-იანი ვარიანტის სიმინდის ფოთლებში, რძისებრი სიმწიფის ფაზიდან კი უპირატესობა ენიჭება სხვა საცდელ ვარიანტებს.

ზემოთ აღნიშნული სიმინდის ჯიშის მარცვლებში ასკორბინის მჟავას რაოდენობა განვითარების სამივე (რძისებრი, ცვილისებრი, ტექნიკური სიმწიფის ფაზა) ფაზაში ყველაზე მეტია 60-წთ-იანი ვარიანტში.

ამრიგად, ულტრაიისფერი სხივების სხვადასხვა დოზით სიმინდის ჯიშ აჯამეთის თეთრის თესლების თესვისწინა დამუშავებისას ასკორბინის მჟავას რაოდენობა ფოთლებსა და მარცვლებში გაიზარდა. მოქმედების ეფექტიანობის მიხედვით დოზები შემდეგი თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს 60-წთ-იანი ($144 \cdot 10^5$ ერგ/სმ²), 30-წთ-იანი ($1344 \cdot 10^4$ ერგ/სმ²) და ბოლოს 90-წთ-იანი ($216 \cdot 10^5$ ერგ/სმ²) დოზა.

Резюме

Изучено изменение содержания аскорбиновой кислоты при предпосевной обработке семян в кукурузе (Аджаметская белая) в зависимости от различных доз УФ облучения.

Семена облучали:

30 минут, что соответствует $1344 \cdot 10^4$ эрг/см²

60 минут, $144 \cdot 10^5$ эрг/см²

90 минут, $216 \cdot 10^5$ эрг/см²

Параллельно был поставлен контрольный вариант.

Количество аскорбиновой кислоты определяли по Тильмансу.

Содержание аскорбиновой кислоты в листьях и семенах кукурузы под воздействием различных доз УФ значительно увеличивается.

По степени эффективности, из использованных доз, предпочтительнее следует отдать дозе в 60 минут.

ლიტერატურა — Литература

1. А. П. Дубров. Генетическое и физиологические эффекты действия радиации на высшие растения. Изд. «Наука», М., 1968.
2. Л. И. Ермаков, В. В. Арасимович, М. И. Смирнова-Иконникова, П. И. Ярош, Т. А. Луковникова. Методы биохимического исследования растений. Л., изд. «Колос», 1972.
3. Т. А. Кезели. Витамины в растениях Грузии, Тб., 1966.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომათა, ტ. 102

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 102, 1977

მ. ხაბიაშვილი

**მეხილეობა-მეხილეობისა და ბაქოლოგიის ფაკულტეტი,
ოპტომატრის რეკონსტრუქციის 60 წლისთავზე**

ფაკულტეტი ამზადებს სწავლულ აგრონომებს მეხილეობა-მეხილეობისა და მევენახეობის სპეციალობით. ინიცირ ტექნოლოგებს მეღვინეობისა და დაკონსერვების ტექნოლოგიის სპეციალობით და სპეციალისტებს ხ/მ შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგიის სპეციალიზაციით.

სპეციალისტთა მომზადებასთან ერთად ფაკულტეტზე, რომელიც ცხრა კათედრას აერთიანებს, წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე. ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის შემდგომი გაზრდა, მათი გადამუშავების პროდუქტების ხარისხის ამაღლება—ასეთია ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას ემსახურება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფაკულტეტში შემავალი კათედრებისა.

კათედრის კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით. დღეისათვის 52 მასწავლებლიდან 40 მეცნიერების კანდიდატი და დოცენტია, ხოლო 10 მეცნიერების დოქტორი და პროფესორი.

ფაკულტეტის განკარგულებაშია დიდიხაზისა და მუხრანის სასწავლო მეურნეობები და ამ მეურნეობებში არსებული ღვინის მარნები და საკონსერვო ქარხანა.

თავისი არსებობის მანძილზე ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენს რესპუბლიკაში მეხილეობის, მევენახეობის და მეხილეობის დარგების მეცნიერულ საფუძვლებზე განვითარების საქმეში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად.

ფაკულტეტში შემავალი ცხრა კათედრიდან ექვსი მაპროფილებელია: მევენახეობის, მეხილეობის, მეხილეობის, მეღვინეობის, ს/მ პროდუქტთა ტექნოლოგიის და მანქანათმშენებლობის.

მევენახეობის კათედრაზე მუშავდება მეცნიერულად აქტუალური თემები, რომლებიც ასახავენ მევენახეობის, სელექციისა და აგროტექნიკის საკითხებს. კათედრის მიერ გამოყვანილ იქნა 35-ზე მეტი პერსპექტიული ვაზის ფორმა,



რომელთაგან „თბილისური“, „მუსკატური რქაწითელი“, „სოლომონი“, „ზვი“ და სხვა წარმატებით ინერგება წარმოებაში.

ზემოაღნიშნულთან ერთად კათედრის მიერ გამოყვანილია მესხეთის სასუფრე მიმართულების ვაზის ახალი პერსპექტიული ფორმა, რომელიც ინერგება კუთრებით საყურადღებოა „კოლხური“, „ივერია“, „ვარძია“, „ნაერისფერი მუსკატი“ და სხვა, რომლებიც წარმატებით ინერგება თბილისის საგარეუბნო ზონაში.

მევენახეობის კათედრასთან ჩამოყალიბებული არის ამპელოგრაფიის ლაბორატორია, სადაც 3000-მდე ვაზის ჯიშია თავმოყრილი, როგორც ადგილობრივი, ისე ინტროდუცირებული. ამ ჯიშების მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე ხდება საუკეთესოს გამოვლინება და წარმოებაში დასაწერად გადაცემა.

მეხილეობის კათედრაზე შესწავლილი იქნა საქართველოს ლედვის ჯიშურ ასორტიმენტი და მათი ბიოეკოლოგიური თავისებურებანი. აგრეთვე ქართული შიგვის ჯიშური ფორმები და ფესვთა სისტემის განვითარება ასაკისა და ნიადაგის ტიპების მიხედვით.

მეხილეობის კათედრაზე დიდი მუშაობა ჩატარდა ხეხილოვან მევენარეთა ზოგიერთ ბიოლოგიურ თავისებურებათა გამოვლინების საფუძველზე პროგრესულ აგროლონისძიებათა დადგენის უზრუნველსაყოფად. ამავ კათედრამ მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მოაწყო უნიკალურ ფორმიან კულტურათა ნაკვეთი.

მებოსტნეობის კათედრაზე დამუშავებულ იქნა უმთავრესი ბოსტნეული კულტურების დარაიონება საქართველოში, ეკოლოგიური დასაბუთებით, საქართველოს მებოსტნეობის განვითარების გზა აგრობიოლოგიური დასაბუთებით. კათედრამ შეადგინა საქართველოს მებოსტნეობის ზონების და სამრეწველო რაიონების რუკა. ჯიშობრივი დარაიონებით.

კათედრის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში განსაკუთრებული ადგილ უკავია თბილისის საგარეუბნო ზონაში მებოსტნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებს. მებოსტნეობის კათედრამ გამოიყვანა და უკვე დარაიონებულა ნახვის მაღალმოსავლიანი ჯიში „კახური ბრტყელი“.

მელენეობის კათედრის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი საფუძველ უდევს ამჟამად ნახევრად ტკბილი ღვინოების და კერძოდ ზეანქარას ტექნოლოგიას. კათედრამ პირველმა მისცა საქართველოში ახლად ორგანიზებული შამპანურის წარმოებას სწორი მიმართულება ნედლეულის ბაზის შერჩევის თვალსაზრისით. აქვე ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ღვინის საფუერების ადგილობრივი რასების შესწავლასა და გამოყენებას. კათედრაზე მეცნიერულად იქნა დასაბუთებული საქართველოს დარაიონება მელენეობის თვალსაზრისით. კათედრამ შექმნა შუა ქართლის პირობებში მუხრანის ბაზაზე 5 სამარკო ღვინო.

ს/მ პროდუქტთა შენახვისა და ტექნოლოგიის კათედრამ დიდი მოშაობა ჩაატარა საქართველოში გავრცელებული ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო ჯიშების ქიმიურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე საუკეთესოთა გამოსავლინებლად.

კათედრაზე შესწავლილი იქნა ხილ-ბოსტნეული, როგორც საკონსერვო წარმოების ნედლეული. დამუშავებულ იქნა სრულიად ახალი სახის კონსერვების



წარმოების ტექნოლოგია. დადგენილი იქნა ტექნოლოგიური ნორმები, ტექნიკური პირობები და სხვა მაჩვენებლები, რომელთა დამუშავება მეტწილად შეესაბამება ფუძეულზე ჩატარდა.

გადაამუშავებელი მრეწველობისათვის საკითხების შესწავლის გარდა კათედრის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოში გავრცელებული წვნიანი მცენარეული ნედლეულის შენახვისუნარიანობის შესწავლასა და ხილისა და ბოსტნეულის ხანგრძლივი შენახვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენას.

კათედრაზე დამუშავდა ახალი და სრულიად თანამედროვე საკითხი ხილბოსტნეულის შენახვისა და გადაამუშავების დარგში, რომელიც ითვალისწინებს ატომკულის გამოხსივებით ხილის შენახვისუნარიანობის გახანგრძლივებას და კონსერვების თბური სტერილიზაციის მეთოდის შეცვლას ცივი სტერილიზაციით.

აღსანიშნავია მეცნიერული კვლევა სიზალის ტიპის იმპორტული ბოჭკოს სამამულო წარმოების მცენარეული ნედლეულით შეცვლის მიმართულებით. ამჟამად კათედრის თანამშრომლების მიერ დამუშავებული იქნა ჩაის მწვანე ფოთლის ხელოვნური ღნობის თეორია. ფოთლის შენახვის რეჟიმის დამუშავება დაბალი ტემპერატურის პირობებში და ჩაის წარმოებაში საფიქსაციო მანქანის დანერგვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური საკითხების მეცნიერული შესწავლა.

მანქანათმცოდნეობის კათედრის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საკითხების ფართო დიაპაზონს. კათედრაზე დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებიდან შეიძლება აღინიშნოს: სითბოს ცენტრალიზებული გამოყენების საკითხის შესწავლა სოფლის მეურნეობაში. გრივალური ეფექტით მიღებული სიცივის გამოყენება ბოთლის ყელში შამპანურის ნალექის გასაყინად და ღვინისა ცავებში ტემპერატურის რეჟიმის შესანარჩუნებლად. ყურძნის საჭყლეტის დიფერენციალური მეთოდის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავება. ჭაჭისათვის უწყვეტი ქმედების ახალი კონსტრუქციის ექსტრაქტორის დამუშავება და სხვა.

კათედრის მიერ რეგისტრირებულია 50-მდე განაცხადი გამოგონებაზე, მიღებულია 20-ზე მეტი საავტორო მოწმობა და 6 ცნობა რაციონალურ წინადადებაზე.

მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრაზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გამოიხატებოდა მცენარეთა სტრუქტურული ცვლილებების, მცენარეთა ანატომიის, ეკოლოგიის, ხორბლეულთა ჩაწოლის, გვალვისამტანობისა და სხვა საკითხების დამუშავებით. დიდი მუშაობა ჩატარა კათედრაზე ზრდის სტიმულატორების საკითხებზე. ვაზის მამყენი ნერვის გამოყვანასთან დაკავშირებით.

ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე ტარდებოდა მნიშვნელოვანი ქიმიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევები. ნიადაგური და წყლის რესურსების გამოვლინების მიზნით. ღრმა მეცნიერული გამოკვლევები ჩატარდა ალკოჰოლური დუდილის გამოკვლევის საკითხებზე. კორელაციური დამოკიდებულების დადგენამ ალკოჰოლური დუდილის პროდუქტთა შორის ტექნიკურ მიკრობიოლო-

გისა და ენოქიმიასი დაამკვიდრა ბიოქიმიურ კვლევა-ძიების დიდი ტრადიცია. დიდი მუშაობაა ჩატარებული მცენარეული ორგანული მკვლევების ქიმიასა და ბიოქიმიასში.

არაორგანული და ანალიზური ქიმიის კათედრა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა მცენარეულ ორგანიზმში მაკრო- და მიკროელემენტების რაოდენობრივი შემცველობის დადგენაზე და მათ მნიშვნელობაზე სხვადასხვა სახის დაავადების გამოვლინებასთან დაკავშირებით.

ამჟამად ფაკულტეტში შემავალი კათედრების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საფუძვლად უდევს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი და სკკპ XXV ყრილობის დადგენილება — ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მეღვინეობის და საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.



შ. ჩხიკვაძე

სუნთქვის ინტენსივობის ცვალებადობა კლოროზის გამოვლინების დროს

სუნთქვის პროცესი ნივთიერებათა ცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ის თავისთავად წარმოადგენს შეუღლებულ ჟანგვითი და აღდგენითი პროცესების კომპლექსს, კატალიზებულს სათანადო ფერმენტებით. ის ენერჯის წყაროა ორგანიზმში მიმდინარე ყველა ბიოქიმიური პროცესისათვის. სუნთქვის პროცესში წარმოიქმნებიან ნივთიერებები, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ პროტოპლაზმის შემადგენელი ნაწილების სინთეზში. სუნთქვის პროცესში წარმოქმნილი ქიმიური ენერჯია, რომელიც სხვადასხვანაირ გარდაქმნებს განიკლის მცენარეში ნივთიერებათა გარდაქმნასთან, ზრდასა და მოძრაობებთან დაკავშირებული რიგი პროცესების მსვლელობას შეაპირობებს. სუნთქვა, ფაბრიკულეს ყოვლისა, არის ფიზიოლოგიური და არა უბრალო ქიმიური პროცესი, სუნთქვის ინტენსივობა ერთნაირი არ არის სხვადასხვა ორგანიზმისა და ცალკეული ორგანოსათვის. ის იცვლება მცენარის ონტოგენეზის პროცესში. ახალგაზრდა ასაკში სუნთქვა უფრო ინტენსიურად ხდება და ასაკის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად ეცემა.

სუნთქვის ინტენსივობა იცვლება მცენარის სტადიებთან და განვითარების ფაზებთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, ყვავილობის დროს სუნთქვის მნიშვნელოვანი გაძლიერება შეინიშნება, ნაყოფის წარმოშობის მომენტიდან მისი ზრდის შესაბამისად ეცემა სუნთქვა, ხოლო დამწიფების მომენტისათვის მკვეთრად მატულობს.

სუნთქვის ინტენსივობა იცვლება გარემო პირობებთან დამოკიდებითაც განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს სუნთქვაზე ტემპერატურა. ტემპერატურის მატებით მატულობს სუნთქვის ინტენსივობა, ხოლო მისი დაცემით შესამჩნევად მცირდება.

მცენარის სუნთქვისათვის ერთ-ერთ ძირითად პირობად ითვლება ჰაერის ენჯებადის არსებობა ნიადაგში. იმ ნიადაგებში, სადაც ტენის სიჭარბეა, მცენარის ფესვთა სისტემამ შეიძლება განიცადოს ენჯებადის ნაკლებობა და ამის შედეგად მოხდეს ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევა და აქედან გაუმდინარე კლოროზის გამოვლინებაც.

სუნთქვაზე დიდ გავლენას ახდენს ნახშირორჟანგის კონცენტრაცია. ნახშირორჟანგის შემცველობის გადიდებისას სუნთქვა ძლიერ ეცემა, სუნთქვა ძლიერ მატულობს გაღიზიანების შედეგად, კრილობების ზეგავლენის შემთხვევაში. სუნთქვის ინტენსივობის ზემოქმედებით.

სუნთქვის ინტენსივობაზე გარეგან ფაქტორთა გარდა უდიდეს როლს ასრულებენ შინაგანი ფაქტორები. შინაგანი ფაქტორებიდან კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმენტები, რომელთა თანაფარდობა საზღვრავს სუნთქვის ხარისხს [4, 6].

სუნთქვაზე გავლენას ახდენს ჭიშის ბიოლოგიური თავისებურებაც. ამ საკითხზე წარმოებული გამოკვლევის შედეგები მოცემული გვაქვს 1-ელ ცხრილში ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ვაზის ჭიშები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სუნთქვის ინტენსივობით, რაც მათი ჭიშური და ბიოლოგიური თავისებურებებით აიხსნება. ასე, მაგალითად, სუნთქვის ყველაზე მაღალი ინტენსივობით ხასიათდება საფერავი, ალიგოტე და რქაწითელი, ხოლო შედარებით დაბალი სუნთქვის ენერგიით ჩინური, გორული მწვანე, განჯური და პინო.

ვაზების სუნთქვის ინტენსივობა იცვლება ფილოქსერავამძლე საძირგების გავლენით. ასე, მაგალითად, სუნთქვის მაღალი ინტენსივობით ხასიათდებიან ვაზის ის ჭიშები, რომლებიც დამყნილია რუპესტრის დიულოზე და რიპარია X რუპესტრის 3309-ზე, რაც იმით აიხსნება, რომ ამ საძირგ პიბრიდებზე დამყნილი ვაზის ჭიშები წყლის მეტი შემცველობით გამოირჩევიან. სუნთქვის კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან საკუთარ ფესვზე გაშენებული ვაზები.

ვაზის სუნთქვის ინტენსივობა იცვლება ვეგეტაციის განმავლობაში მცენარის ზრდა-განვითარების ფაზების მიხედვით. ასე, მაგალითად, ვაზის ჭიშები სუნთქვის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ყვავილობის ფაზაში, როდესაც ფოთლის მეზოფილის უჯრედები ნორჩია და მისი შემადგენელი ნაწილები უფრო მდიდარია აქტიური პროტოპლაზმით, ხოლო ისერიმობის ფაზაში ეს პროცესი თანდათან მცირდება და ტექნიკური სიმწიფის ფაზაში მინიმუმამდე დადის, რაც ფოთლების ხნოვანებაში შესვლით არის გამოწვეული, რადგან განვითარებისა და დაბერების მიხედვით მცირდება მასში პროტოპლაზმის შემცველობა და ამის შედეგად მცირდება სუნთქვის ინტენსივობაც. გასაგებია, რომ ამ დროს მიმდინარეობს აგრეთვე პროტოპლაზმის ღრმა თვისობრივი ცვლილებები. ვეგეტაციის ბოლოს სუნთქვის ინტენსივობის შემცირებაზე მიუთითებენ ნ. სისაკიანი, ი. ეგოროვა და ბ. აფრიკიანი (1948). მათი აზრით ფერმენტულ სისტემასა და სუნთქვის ინტენსივობის ცვალებადობას შორის ყოველთვის არ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება.

ვაზის ფოთლების სუნთქვის ინტენსივობა იცვლება დღის საათების მიხედვითაც, რის შედეგადაც მიიღება ამ რთული ფიზიოლოგიური პროცესის მრუდები, რომელზედაც რიგი მწვერვალები და ვარდნილებია. ასე, მაგალითად,



სლი ვაზების სუნთქვის ინტენსივობა 1 გ შშრალ მასალაზე 1 საათის განმავლობაში **გამრეცხული**
CO₂-ის რაოდენობის მიხედვით მკაობით **საქართველოს**
სსრ-ში

| სანამუშაო | საძირე | ყვავილობა | | | ნაყვარობა | | | ტენიანობის სიმწიფე | | |
|----------------|-----------|-----------|-------|-------|-----------|-------|-------|--------------------|-------|-------|
| | | 8-9 | 13-14 | 18-19 | 8-9 | 13-14 | 18-19 | 8-9 | 13-14 | 18-19 |
| | | საათი | საათი | საათი | საათი | საათი | საათი | საათი | საათი | საათი |
| რკ. შიშველი | 5 ბბ | 0,95 | 1,35 | 0,93 | 0,87 | 1,31 | 0,82 | 0,79 | 0,81 | 0,73 |
| | ლივლი | 1,21 | 1,53 | 1,19 | 1,12 | 1,48 | 0,99 | 0,85 | 0,87 | 0,76 |
| | 3309 | 1,28 | 1,63 | 1,29 | 1,20 | 1,57 | 1,12 | 1,00 | 1,08 | 0,89 |
| | 420 ა | 0,63 | 1,28 | 0,81 | 0,69 | 1,24 | 0,61 | 0,57 | 0,55 | 0,46 |
| | 41 ბ | 0,94 | 1,47 | 0,55 | 0,89 | 1,43 | 0,53 | 0,73 | 0,62 | 0,73 |
| | საჯ. ფეს. | 1,58 | 1,73 | 1,59 | 1,45 | 1,67 | 1,32 | 1,26 | 1,31 | 1,21 |
| საფერავი | 5 ბბ | 1,23 | 2,37 | 1,91 | 1,82 | 1,87 | 1,76 | 1,71 | 1,73 | 1,63 |
| | ლივლი | 2,84 | 2,69 | 2,23 | 2,08 | 2,14 | 2,01 | 1,95 | 1,27 | 1,86 |
| | 3309 | 2,51 | 2,76 | 2,42 | 2,20 | 2,27 | 2,13 | 1,99 | 2,01 | 1,87 |
| | 420 ა | 1,76 | 2,21 | 1,64 | 1,48 | 1,54 | 1,41 | 1,37 | 1,41 | 1,31 |
| | 41 ბ | 2,31 | 2,51 | 2,10 | 1,91 | 1,96 | 1,78 | 1,73 | 1,75 | 1,67 |
| | საჯ. ფეს. | 2,58 | 2,85 | 2,49 | 2,27 | 2,32 | 2,21 | 2,07 | 2,17 | 1,97 |
| წიწვრი | 5 ბბ | 0,57 | 0,72 | 0,53 | 0,71 | 0,59 | 0,46 | 0,43 | 0,45 | 0,41 |
| | ლივლი | 0,83 | 0,99 | 0,81 | 0,76 | 0,83 | 0,72 | 0,71 | 0,73 | 0,63 |
| | 3309 | 0,89 | 0,99 | 0,85 | 0,81 | 0,89 | 0,75 | 0,71 | 0,78 | 0,69 |
| | 420 ა | 0,53 | 0,68 | 0,51 | 0,47 | 0,53 | 0,43 | 0,40 | 0,41 | 0,37 |
| | 41 ბ | 0,63 | 0,81 | 0,55 | 0,53 | 0,64 | 0,53 | 0,47 | 0,52 | 0,47 |
| | საჯ. ფეს. | 0,89 | 1,05 | 0,88 | 0,84 | 0,93 | 0,81 | 0,75 | 0,83 | 0,72 |
| ბორცული მუკაბე | 5 ბბ | 0,41 | 0,54 | 0,37 | 0,33 | 0,35 | 0,31 | 0,28 | 0,32 | 0,21 |
| | ლივლი | 0,73 | 0,88 | 0,71 | 0,65 | 0,73 | 0,60 | 0,57 | 0,59 | 0,51 |
| | 3309 | 0,85 | 0,93 | 0,80 | 0,75 | 0,85 | 0,71 | 0,67 | 0,70 | 0,63 |
| | 420 ა | 0,35 | 0,51 | 0,33 | 0,30 | 0,34 | 0,27 | 0,24 | 0,30 | 0,20 |
| | 41 ბ | 0,43 | 0,57 | 0,40 | 0,39 | 0,45 | 0,38 | 0,34 | 0,34 | 0,27 |
| | საჯ. ფეს. | 0,68 | 0,97 | 0,61 | 0,77 | 0,89 | 0,75 | 0,69 | 0,74 | 0,64 |
| განუქერი | 5 ბბ | 0,38 | 0,49 | 0,37 | 0,31 | 0,35 | 0,28 | 0,26 | 0,30 | 0,18 |
| | ლივლი | 0,64 | 0,76 | 0,60 | 0,57 | 0,68 | 0,55 | 0,53 | 0,66 | 0,47 |
| | 3309 | 0,74 | 0,83 | 0,71 | 0,64 | 0,69 | 0,63 | 0,53 | 0,69 | 0,51 |
| | 420 ა | 0,34 | 0,47 | 0,35 | 0,28 | 0,34 | 0,27 | 0,24 | 0,28 | 0,15 |
| | 41 ბ | 0,43 | 0,56 | 0,42 | 0,34 | 0,41 | 0,33 | 0,30 | 0,37 | 0,23 |
| | საჯ. ფეს. | 0,75 | 0,89 | 0,75 | 0,67 | 0,72 | 0,65 | 0,57 | 0,70 | 0,53 |
| აღივლი | 5 ბბ | 1,73 | 2,05 | 1,68 | 1,65 | 1,87 | 1,62 | 1,61 | 1,68 | 1,51 |
| | ლივლი | 2,28 | 3,63 | 2,21 | 2,09 | 2,12 | 2,01 | 1,91 | 1,97 | 1,82 |
| | 3309 | 2,47 | 2,68 | 2,36 | 2,13 | 2,24 | 2,11 | 1,95 | 2,00 | 1,85 |
| | 420 ა | 1,65 | 1,94 | 1,53 | 1,53 | 1,81 | 1,52 | 1,46 | 1,57 | 1,44 |
| | 41 ბ | 1,84 | 2,13 | 1,79 | 1,73 | 2,11 | 1,65 | 1,65 | 1,71 | 1,57 |
| | საჯ. ფეს. | 2,53 | 2,72 | 2,39 | 2,18 | 2,27 | 2,17 | 1,97 | 2,10 | 1,88 |

| | | | | | | | | | |
|-----------|-------|------|------|------|------|------|------|------|------|
| პირობა | 5 ზბ | 0,58 | 0,75 | 0,97 | 0,54 | 0,65 | 0,49 | 0,45 | 0,45 |
| | ლელო | 0,86 | 0,9 | 0,87 | 0,82 | 0,59 | 0,75 | 0,75 | 0,75 |
| | 3309 | 0,73 | 1,07 | 0,92 | 0,86 | 0,4 | 0,81 | 0,75 | 0,51 |
| | 420 ა | 0,56 | 0,73 | 0,55 | 0,54 | 0,63 | 0,47 | 0,44 | 0,4 |
| | 41 ბ | 0,66 | 0,85 | 0,58 | 0,56 | 0,67 | 0,55 | 0,51 | 0,56 |
| საქ. ფეს. | 0,59 | 1,10 | 0,4 | 0,91 | 0,96 | 0,67 | 0,79 | 0,95 | 0,77 |

დღის განმავლობაში ვაზებს ახასიათებთ ერთი მაქსიმუმი, ისიც შუადღის საათებში. შუადღის საათებში სუნთქვის ინტენსივობის გაძლერება ტემპერატურის გადიდებით აიხსნება. ცნობილია, რომ გარკვეულ ზღვრებში ტემპერატურის მატებით იზრდება სუნთქვის პროცესი, ზოლო მისი დაცემით მნიშვნელოვნად მცირდება.

ვაზის სუნთქვის ინტენსივობა იცვლება კლოროზით დაავადების მიხედვითაც ამ საკითხზე წარმოებულ გამოკვლევის შედეგები მოცემული გეგმა მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

კლოროზიანი ვაზების სუნთქვის ინტენსივობა I გრამ შშრალ მასალაზე I საათის განმავლობაში CO-ის რაოდენობის მიხედვით მგ-ით

| სან მარე | საძირე | ყვავილობა | | | ისვრობობა | | | ტექნიკური სიმწიფე | | |
|------------|--------|-----------|-------------|-------------|-----------|-------------|-------------|-------------------|-------------|-------------|
| | | 8-9 საათი | 13-14 საათი | 18-19 საათი | 8-9 საათი | 13-14 საათი | 18-19 საათი | 8-9 საათი | 13-14 საათი | 18-19 საათი |
| რქაწიფი | 5 ზბ | 1,42 | 1,57 | 1,38 | 1,35 | 1,58 | 1,27 | 1,19 | 1,23 | 1,12 |
| | ლელო | 1,65 | 1,95 | 1,58 | 1,51 | 1,61 | 1,45 | 1,41 | 1,44 | 1,31 |
| | 3309 | 1,73 | 1,88 | 1,67 | 1,53 | 1,43 | 1,49 | 1,43 | 1,46 | 1,33 |
| | 420 ა | 1,35 | 1,52 | 1,32 | 1,21 | 1,41 | 1,17 | 1,05 | 1,12 | 1,05 |
| | 41 ბ | 1,48 | 1,61 | 1,47 | 1,38 | 1,5 | 1,27 | 1,21 | 1,26 | 1,17 |
| საქ. ფესზე | 1,97 | 2,13 | 1,58 | 1,60 | 1,99 | 1,73 | 1,67 | 1,70 | 1,53 | |
| საფერავი | 5 ზბ | 2,32 | 2,57 | 2,27 | 2,21 | 2,75 | 2,17 | 2,13 | 2,17 | 2,05 |
| | ლელო | 2,73 | 2,88 | 2,69 | 2,63 | 2,67 | 2,60 | 2,53 | 2,57 | 2,42 |
